# USAID UNITY THROUGH DIVERSITY PROGRAM

## პრიორიტეტული ღირებულებათა ჯაჭვები პანკისის ხეობაში

პანკისის ხეობა ხასიათდება **სათემო კავშირების სიძლიერითა** და **თვითუზრუნველყოფის მაღალი მაჩვენებლით**. სოციალური და ეკონომიკური აქტივობა ძირითადად კონცენტრირებულია ხეობაში, შეიმჩნევა სუსტი კავშირები და ინტეგრაცია ქვეყნის სხვა ნაწილებთან (მუნიციპალური ცენტრი და დედაქალაქი) და მის ფარგლებს გარეთ. თითოეული ღირებულების ჯაჭვის მოთამაშე ურთიერთდაკავშირებულია სხვა ადგილობრივ ბიზნესებთან და გამოირჩევა თანამშრომლობის მაღალი დონით, რაც საბოლოოდ ზრდის პანკისის ხეობის ეკონომიკურ თვითუზრუნველყოფას. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ძალისხმევაა საჭირო ხეობის ქვეყანაში ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად და სტერეოტიპული წარმოდგენებისა და სტიგმის აღმოსაფხვრელად.



| | | |
|---|---|---|
| 1 | ტურიზმი | ეკონომიკურად აქტიური შინამეურნეობების უმრავლესობა ჩართულია ტურიზმში |
| 2 | მეცხოველეობა | ისტორიულად ქისტების მთავარი საქმიანობა, შემცირდა საძოვრების არარსებობისა და ახალგაზრდების დაბალი ინტერესის გამო. |
| 3 | მეფუტკრეობა | პანკისის თაფლის საერთაშორისო ბაზრები: ევროპა (გერმანია, საფრანგეთი), რუსეთი (გროზნო, მოსკოვი), არაბული ქვეყნები - თუმცა მცირე რაოდენობით |
| 4 | არამერქნული ტყის პროდუქტები | ასკილის შეგროვება (ტრადიციული უალკოჰოლო ლუდისთვის), თხილი, ველური კენკრა, სოკო. |
| 5 | სიმინდის და კარტოფილის მეურნეობა | შეზღუდულია მიწის ნაკლებობით, შეუსაბამო კლიმატითა და არასაკმარისი ირიგაციით. |

**სახელმწიფო პროექტებიდან მიღებული დაფინანსება 2018 – 2023**

- აწარმოე საქართველოში - GEL 126 k
- სოფლის განვითარების სააგენტო - GEL 119 k




სახელმწიფო დაფინასნების სტრუქტურა 2018-2023

დონორი ორგანიზაციები

- UNDP
- KRDF
- USAID
- EU
- GIZ
- UNHCR
- RDA
- Enterprise Georgia

### ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვი

- **ტურისტული მიმართულებები პრიორიტეტების მიხედვით**: კულტურული, გასტრონომიული, სათავგადასავლო
- **ტურისტული სეზონი**: ივლისი – სექტემბერი
- **ვიზიტორები** პოლონეთიდან, გერმანიიდან, ნიდერლანდებიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ბელგიიდან, აშშ-დან, იაპონიიდან, სამხრეთ კორეიდან, ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან და არაბული ქვეყნებიდან - **ადგილობრივი ვიზიტორების დაბალი რაოდენობა.**
- **12 საოჯახო სასტუმრო**, მაქსიმალური ტევადობა 14-16
- **კვების სერვისის პროვაიდერები**: 1 დიდი რესტორანი, 1 კაფე და საოჯახო სასტუმროები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლანჩს - გამოიყენება ადგილობრივი პროდუქცია
- **კულტურული ტურები**: ვიზიტები მეჩეთები, ციხესიმაგრე და ამფითეატრი, ზიკრის ცერემონია, თექის ნამუშევრების სახელოსნოები – **12 კულტურული გიდი**
- **სათავგადასავლო ტურიზმის აქტივობები**: ცხენოსნობა, კემპინგი, საფეხმავლო და ველოტურები მიმართულება: ბაწარას ნაკრძალი, ხადორის ხეობა და ჩანჩქერი, მდინარე ალაზნის ნაპირები
- **1 ოფიციალურად ლიცენზირებული გიდი**

### მეცხოველეობის ღირებულებათა ჯაჭვი

- ხეობაში არ არის რძის გადამამუშავებელი **დიდი ან საშუალო საწარმო.**
- **წარმოებული პროდუქტები**: ყველი, ხაჭო, არაჟანი, კარაქი, ნაღები და რძე.
- **პანკისის ხეობის ყველაზე დიდი ფერმა 30 ძროხას ფლობს**
- მსხვილფეხა საქონელი - ნაკლებად პროდუქტიული და რეზისტანტული
- მეცხოველეობისთვის საბინაო ინფრასტრუქტურის პრობლემა
- **ხორცის გადამამუშავებელი 1 ქარხანა** – საქონლისა და ფრინველის ხორცის ჰალალ ძეხვი, რომელიც მოთხოვნადია საქართველოსა და ჩეჩნეთის მუსლიმი მოსახლეობის მიერ.
- **გაყიდვები** ადგილობრივ საოჯახო სასტუმროებში, ადგილობრივ ბაზრებზე, პირდაპირ ტურისტებზე, დედაქალაქის ბაზრებში.

## SWOT ანალიზი

### ძლიერი მხარეები

- უნიკალური კულტურა, გასტრონომია, და მაღალი ხარისხის ადგილობრივი პროდუქცია
- ისტორიულად და კულტურულად მნიშვნელოვანიძეგლების არსებობა (ამფითეატრი, მეჩეთები, ტრადიციული ეთნოგრაფიული სახლები)
- სიახლოვე ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებთან, როგორიცაა ბაწარას ნაკრძალი
- საერთაშორისო მოგზაურების ინტერესი და დადებითი გამოხმაურება საერთაშორისო მოგზაურებისგან
- პანკისის ხეობის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის შესახებ ონლაინ ინფორმაციის არსებობა
- თემზე დაფუძნებული სოფლისა და აგროტურიზმის არსებობა
- დედაქალაქთან და კახეთის ღირსშესანიშნაობების სიახლოვე
- დონორი ორგანიზაციებისა და საჯარო დაწესებულებების მხარდაჭერა
- ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესის არსებობა ტურისტული სექტორის მიმართ
- ადგილობრივი მეცხოველეობის პროდუქციის მაღალი ხარისხი
- ადგილობრივი წარმოების მაღალი თვითუზრუნველყოფა
- სოფლების ახმეტასთან, თელავთან და თბილისთან დამაკავშირებელი შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა
- ბუნებრივ აირზე ხელმისაწვდომობა

### სუსტი მხარეები

- ნეგატიური სტიგმა და შიდა ვიზიტორების დაბალი ინტერესი პანკისის ხეობის მიმართ
- საკვები სერვისებისა და განთავსების საშუალებების მიმწოდებლების შეზღუდული რაოდენობა
- კვალიფიციური სამთო და საცხენოსნო გიდების მცირე რაოდენობა და ენის ბარიერის პრობლემები
- ტურისტული ლოკაციებისა და რეკრეაციული ინფრასტრუქტურისა და სივრცეების შესახებ საინფორმაციო დაფების ნაკლებობა
- ტურისტული სექტორის სეზონურობა
- სასოფლო-სამეურნეო და საძოვარი მიწების დეფიციტი გეოგრაფიული მიზეზებისა და მჭიდრო დასახლების გამო
- მეცხოველეობის მასშტაბის გაზრდის დაბალი პოტენციალი
- გარე ეკონომიკურ მოთამაშეებთან თანამშრომლობის დაბალი ინტერესი
- ევროკავშირში ემიგრაციის მაღალი დონე
- სოფლების მჭიდრო დაგეგმარება
- ინფრასტრუქტურული საკითხები წყლისა და ელექტროენერგიის მუდმივ მიწოდებასთან და სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით
- საჯარო და კერძო სუბიექტებს შორის თანამშრომლობის დაბალი დონე

### შესაძლებლობები

- სასოფლო, სათავგადასავლო, გასტრო და კულტურული ტურიზმის მომწოდებლებისა და სერვისების განვითარება
- კვალიფიციური სათავგადასავლო გიდების რაოდენობის გაზრდა
- რეგულარული ფესტივალების ორგანიზება
- რეკრეაციული ინფრასტრუქტურის შექმნა, როგორიცაა პარკები, ინფრასტრუქტურა მდინარე ალაზნის გასწვრივ, სტადიონები და ა.შ.
- რეგიონის გარშემო არსებული სტიგმის დაძლევა
- ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო და შიდა დონეზე
- მცირე ფერმერების შესაძლებლობების გაზრდა და სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა
- სხვა მსხვილმასშტაბიან ბიზნესებთან კავშირების გაზრდა ეროვნულ დონეზე
- ხეობის არსებული პრობლემების გასაუმჯობესებლად კერძო-საჯარო ურთიერთობების განვითარება

### საფრთხეები

- პანკისის გარშემო არსებული სტიგმის დაძლევის შეუძლებლობა
- ტურიზმის სექტორის განვითარებისთვის გადამწყვეტი ინფრასტრუქტურის არარსებობა
- მოძველებული პრაქტიკის გამოყენება
- ახალი, უფრო პროდუქტიული ძროხის ჯიშების დანერგვის პრობლემა
- პირუტყვის დაავადებები
- სეტყვა და სხვა კლიმატური რისკები
- თუშებთან, კახელებთან და სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ინტეგრაციის ხელშეწყობის სირთულე
- მდინარე ალაზნის ადიდების შემთხვევები
- ბიზნესისადმი ღიაობისა და გარე მოთამაშეების მხრიდან ინვესტიციების დაბალი დონის შენარჩუნება
- უწყვეტი ემიგრაცია, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ოჯახების

## რეკომენდაციები:

- ციფრული მარკეტინგის მხარდაჭერა
- კულტურული გაცვლის ორგანიზება კახელებთან, თუშებთან და სხვა ეთნიკურ ქართველებთან
- მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერა
- პარტნიორობის განვითარება კერძო სექტორსა და საჯარო სუბიექტებს შორის
- დარგობრივი სტატისტიკის განვითარება
- შემდგომი მხარდაჭერა სათემო სასოფლო ტურიზმის განვითარებისათვის
- რეკრეაციული და ტურიზმთან დაკავშირებული სხვა ინფრასტრუქტურის განვითარება
- ფოკუსირება ნიშურ ტურისტულ ბაზრებზე
- რეგულარული ფესტივალების ორგანიზება
- გიდების უნარების განვითარება
- თბილისში პანკისის პროდუქციის სპეციალიზებული სასურსათო მაღაზიის შექმნა
- მცირე ფერმერებისთვის უნარების განსავითარებლად ტრენინგების ჩატარება
- მეცხოველეობის სექტორის ძალისხმევის ფოკუსირება ტურიზმის განვითარების შედეგად წარმოქმნილი ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე
- ადგილობრივ ფერმერებსა და მსხვილ საწარმოებთან  კავშირების ხელშეწყობა
- ხორცის გადამამუშავებელ საწარმოებს მათი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით

სრული ანგარიში იხილეთ

*მასალა მომზადდა პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ, პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.*

# ხორბლისა და ფქვილის კვლევითი ჯაჭვი მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის და წალკის მუნიციპალიტეტებში.

ხორბლის ღირებულების ჯაჭვზე დიდ ზეგავლენას ახდენს მეტეოროლოგიური პირობები, ბოლო რამდენიმე წლის არახელსაყრელი ამინიდებიდან გამომდინარე კი ფერმერები აწყდებიან მზარდ გამოწვევებს, როგორც მოთხოვნის მხრივ ასევე მიწოდების. ფერმერების დიდი ნაწილი, რომლებიც საქმიანობას ძირითადად მარნეულის შემოგარენში ეწევიან, ვერ უმკლავდებიან არსებულ გვალვებსა თუ ძლიერ წვიმებს. შესაბამისად, თანამედროვე სარწყავი სისტემების და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის დანერგვა აუცილებელია ხორბლის სტაბილური მოყვანისთვის, განსაკუთრებით კი ნაკლებად ხელსაყრელ კლიმატში.



### ადგილობრივ ბაზარზე ხორბლის მოსალოდნელი და ფაქტობრივი ფასი




- ხორბლის ფასებმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვალებადობა ბოლო წლებში;
- არახელსაყრელი ამინდის ფონზე, მარეგულირებელი ჩარჩოსა და გლობალურ ბაზრებზე რყევების გამო, ფერმერები ქვემო ქართლში ფასის გადაჭარბებულ ზრდის მოლოდინში იყვნენ;
- მოსალოდნელი და რეალური ფასის ცდომილებამ გამოიწვია პურის ხორბლის დეფიციტი და საფურაჟე ხორბლის სიჭარბე.

- გამოკითხული ფერმერების უმრავლესობა, მიახლოებით 65%, ძირითადად დამოკიდებული არის წვიმაზე, როგორც წყლის ძირითად წყაროზე მათი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის;
- სარწყავი მეურნეობების დაბალი მაჩვენებლის პრობლემა უფრო მწვავე ხდება ქვემო ქართლში ამინდის ანომალიების გაზრდით, გვალვისა და წყალდიდობის გაზრდილი ალბათობით;
- ინტერვიუების დროს საკმაოდ რთული იყო იმის დადგენა, თუ რა სახის ხორბალი დათესეს ფერმერებმა, ზოგიერთი მათგანი იყენებდა შერეულ მეურნეობას, მოდიფიცირებულ ნათესებს, უმეტეს შემთხვევაში კი არ ჰქონდად ინფორმაცია დათესილი ხორბლის შესახებ.

### გამოკითხული ფერმერები ირიგაციის მიხედვით




ხორბლის ფასების შემცირების ფონზე, ფერმერები მიმართავენ ხარჯების შემცირების ზომებს და ირჩევენ გაურკვეველი წარმოშობის დაბალი ხარისხის თესლს. ფერმერები, რომლებიც თესავენ შედარებით მაღალი მოსავლიანობის თესლებს, როგორებიცაა ამიკუსი, გალუსი, გრომი და კოპერი შედარებით უკეთესი შედეგი გააჩნიათ. თუმცა, თესლის ტიპზე გადაჭარბებული ყურადღება ჩრდილავს სათანადო მოვლის პრაქტიკის მნიშვნელობას. საფურაჟე ხორბალზე გადასვლით მეტი აქცენტი ეთმობა რაოდენობას და ნაკლები ხარისხს. მაღალი ხარისხის ხორბლის დეფიციტის ფონზე კი, რეგიონალურ წისქვილები მეტწილად დამოკიდებულები არიან იმპორტირებულ ხორბალზე.

# SWOT ანალიზი

## ძლიერი მხარეები

- **ამინდი და მდებარეობა**: ქვემო ქართლს გააჩნია ხელსაყრელი მდებარეობა, საშუალო წლიური ნალექით 500 მმ და ნაყოფიერი ნიადაგით, რაც ხელს უწყობს ხორბლის მოყვანას.
- **ადგილობრივი მოთხოვნა**: რეგიონში ხუთი საშუალო და დიდი ზომის ქარხნის არსებობა ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს.
- **მაღალი მოსავლიანობა:** ქვემო ქართლში არსებული ხორბლის მოსავლიანობა არის ქვეყანაში ყველაზე მაღალი.
- **ხორბლის მრავალფეროვნება**: ხორბლის თოთხმეტი კულტივირებული ჯიში, მათ შორის ხუთი ენდემური, ხელს უწყობს ადაპტირებას და ხორბლის კულტივაციის პოტენციალს.

## სუსტი მხარეები

- **წვიმით ირიგაცია**: არაპროპორციულად დიდი რაოდენობა ფერმების დამოკიდებულია წვიმაზე როგორც ერთადერთ სარწყავ მეთოდზე, რაც ამცირებს მოსავალს და ხარისხს.
- **უცნობი მარცვლეული**: არასაკმარისი ინფორმაცია თესლის კონკრეტული ჯიშების შესახებ საგრძნობლად ამცირებს მოსავლიანობას.
- **საწყობები:** სასაწყობე ინსფრასტრუქტურის ნაკლებობა აფერხებს ხორბლის ეფექტურ მიწოდებას.
- **ირიგაციის დამატებითი ხარჯები**: ფიზიკური მანძილი საირიგაციო არხებისგან ქმნის საჭიროებას წყლის ტრანსპორტირებას, რაც საგრძნობლად ზრდის საოპერაციო ხარჯებს.
- **საფურაჟე ხორბალი**: საფურაჟე ხორბლის კულტივაციის ტრენდი ნაკლებ პრიორიტეტს ანიჭებს ხარისხს რითაც მაღალი ხარისხის ხორბლის მოყვანის ცოდნა იკარგება.
- **იმპორტზე დამოკიდებულება**: რუსეთიდან იმპორტირებული ხორბალი კონკურენციას უწევს ადგილობრივი ხორბლის წარმოებას.

## შესაძლებლობები

- **პროდუქციის გაზრდის შესაძლებლობა**: ბოლო 20 წელში მოსავლიანობის ზრდითა და არსებული მიწების ათვისებით შესაძლებელია წარმოების გასამმაგება.
- **გაუმჯობესებული ხარისხი**: სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მიდგომებ შეუძლია საგრძნობლად გააუმჯობესოს ხორბლის ხარისხი, რაც უფრო შესაფერისს გახდის საცხობებისთვის.
- **კოორდინაცია და დაგეგმვა**: ხორბლის სტრატეგიულ გაყიდვას დიდი შედეგი აქვს მომგებიანობაზე.

## საფრთხეები

- **კლიმატის ცვლილების გავლენა**: ტემპერატურის მატება და არარეგულარული ნალექიანობა მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის ხორბლის წარმოებას.
- **იაფასიანი ხორბლის შემოდინება:** არსებულ ალტერნატივებთან შედარებით იაფიანი ხორბლის შემოდინება ჩრდილოეთ კავკასიიდან.
- **გაურკვეველი მარეგულირებელი ჩარჩო**: რეგულაციების მოულოდნელი ცვლილებები ხელს უშლის გრძელვადიან ინვესტიციებს და სტრატეგიულ დაგეგმას.
- **ხორბლის წარმოების ინტერესის დაკარგვა**: შემცირებული მომგებიანობის ფონზე და არასტაბილური ფასების მოლოდინში ფერმერების ნაწილმა შესაძლოა შეიცვალოს საქმიანობა.

## რეკომენდაცია ფერმერებისთვის

- ოპტიმალური თესლების შერჩევა მაღალი მოსავლიანობისთვის.
- წარმოების პრაქტიკების გაუმჯობესება.
- წვიმის წყლის შეგროვება და გამოყენება.
- თესლის (ზომიერი) როტაცია მოსავლიანობის გასაუმჯობესებლად.
- მიწის დამუშავების მინიმუმამდე დაყვანა .
- ნარჩენების მართვა მიწის მდგრადობისთვის.

## რეკომენდაციები საჯარო ინსტიტუტებისთის

- ეფექტური ინტეგრაციისთვის შერჩეული ენის ტრენინგები.
- შრომითი უნარების ამაღლება პროფესიული გადამზადებისა და სპეციალიზებული კურსების მეშვეობით.
- თანადაფინანსების მეშვეობით სათესლე მასალების დივერსიფიკაციის წახალისება.
- საერთაშორისო ექსპერტიზის დახმარება მოდერნიზაციისთვის.
- ირიგაციასთან წვდომის გაუმჯობესება.
- სტაბილირუი მარეგულირებელი ჩარჩო ხორბლის სექტორში.
- საერთო ხორბლის სასაწყობების შექმნა.

*მასალა მომზადდა პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ, პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული  შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.*

სრული ანგარიში იხილეთ

# სათავგადასავლო ტურიზმი ახალციხის, ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში

სათავგადასავლო ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვი ახალციხეში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში რამდენიმე დაბრკოლების წინაშე დგას, რაც ზღუდავს მის პოტენციალს. არსებული გამოწვევები მოიცავს სერტიფიცირებული აქტივობების მიმწოდებლების სიმცირეს და არასაკმარის სატრანსპორტო ქსელებს, რაც ზღუდავს გამოცდილებების მრავალფეროვნებას და ვიზიტორების მობილობას. ენობრივი ბარიერის გამო კომუნიკაციის პრობლემა იქმნება ადგილობრივ ხანდაზმულ მაცხოვრებლებთან, ხოლო არასაკმარისი ტურისტული ინფრასტრუქტურა და დაბალი ცნობიერება ტურიზმის რეგიონალური პოტენციალის შესახებ კიდევ უფრო აფერხებს ზრდას. ამ გამოწვევებზე საპასუხოდ, მდგრადი სათავგადასავლო ტურიზმის ინდუსტრიის ჩამოსაყალიბებლად, და ზოგადად ამ მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის აუცილებელია ღირებულების ჯაჭვის მოთამაშეებს შორის კოლაბორაციული ძალისხმევა.

### საერთაშორისო ვიზიტები სამცხე- ჯავახეთში, 2022 (ათასი)




- სამცხე-ჯავახეთმა 352 ათას ვიზიტორს უმასპინძლა, რაც საქართველოს საერთაშორისო ვიზიტორების 7.7%-ს შეადგენს, და ის მეხუთე ადგილს იკავებს 11 რეგიონს შორის საერთაშორისო ვიზიტორების მიხედვით;
- ამ საერთაშორისო ვიზიტების ძირითადი წყაროები იყო რუსეთი (20%), საუდის არაბეთი (11%), ყაზახეთი (10%), არაბეთის გაერთიანებული საემიროები (5%) და ისრაელი (5%).
- სამცხე-ჯავახეთში საერთაშორისო ვიზიტორთა ყველაზე მეტი რაოდენობა დასვენებამ და რეკრეაციამ მიიზიდა (73%), რასაც მოჰყვება VFR (მეგობრების და ნათესავების მონახულება) სეგმენტი 23%-ით;
- სამცხე-ჯავახეთს ეწვია 648,744 შიდა ვიზიტორი, რაც მთლიანი შიდა ვიზიტების 4%-ს შეადგენს. ამ მაჩვენებლით რეგიონი სხვა რეგიონებს შორის მეცხრე ადგილზეა.
- საერთაშორისო ვიზიტორებმა რეგიონში სულ 1 მილიონი ღამე გაატარეს, რაც საერთაშორისო ვიზიტორების მიერ საქართველოში გატარებული ღამეების 3%-ია. მათი ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობამ 3.2 ღამე შეადგინა.
- შიდა ვიზიტორებმა 2.2 მილიონი ღამე გაატარეს რეგიონში, რაც შიდა ვიზიტორების მიერ საქართველოში გატარებული ღამეების 7%-ს შეადგენს. მათი ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა საერთაშორისო ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობის მსგავსია.
- ქვეყანაში დაფიქსირდა 0,9 მილიონი ვიზიტორი დაცულ ტერიტორიებზე, რაც 53%-იან ზრდას აჩვენებს, თუმცა მაინც ჩამორჩება 2019 წლის მაჩვენებელს.
- ვიზიტორების რაოდენობით ჯავახეთი მე-16 ადგილზეა 25 დაცულ ტერიტორიას შორის. მან დაახლოებით 5,340 ვიზიტორს უმასპინძლა, რომელთა უმრავლესობაც შიდა, ადგილობრივი ვიზიტორია.

### შიდა ვიზიტები სამიზნე მუნიციპალიტეტებში, 2022







შიდა ვიზიტები სამცხე ჯავახეთში, 2022 (ათასი)

# SWOT ანალიზი



## S

- ფრინველთა სახეობების მრავალფეროვნება;
- ტბების სიმრავლე თევზის მრავალფეროვანი სახეობებით;
- მრავალფეროვანი ტურისტული ღირშესანიშნაობები და აქტივობები;
- მრავალფეროვანი ადგილობრივი საზოგადოება;
- ალპური ფლორა და ფაუნა;
- ეროვნული და ეთნიკური გასტრონომიის მრავალფეროვნება;
- ეროვნული პარკი და ბუნებრივი ნაკრძალები;
- კულტურული ობიექტების სიმრავლე და მრავალფეროვნება;
- ეკოლოგიურად სუფთა მაღალი ხარისხის პროდუქცია;

## W

- ვიზიტორების შეზღუდული ინფორმირებულობა მუნიციპალური ტურისტული რესურსების შესახებ, განსაკუთრებით ახალქალაქსა და ნინოწმინდაში;
- ენობრივი ბარიერები, რაც ხელს უშლის ტურისტებთან ეფექტურ კომუნიკაციას;
- არასაკმარისი მარკეტინგული ძალისხმევა როგორც მთავრობის, ისე კერძო სექტორის მხრიდან;
- მწირი ინფორმაცია სათავგადასავლო აქტივობებზე, განსაკუთრებით ახალქალაქსა და ნინოწმინდაში;
- სერტიფიცირებული ტურისტული გიდების და აქტივობების მიმწოდებლების ნაკლებობა;
- განუვითარებელი ტურისტული ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით ახალქალაქსა და ნინოწმინდაში;
- იშვიათი კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები, განსაკუთრებით ახალქალაქსა და ნინოწმინდაში;
- არასაკმარისი მიმართულების მიმათითებელი ნიშნები და ტურისტული ნიშნები ღირშესანიშნაობებთან;
- ტურისტულ ღირშესანიშნაობებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა;

## O

- დანიშნულების ადგილის პოპულარიზაციისა და მარკეტინგული ძალისხმევის გაძლიერება;
- ახალციხის მუნიციპალიტეტში ტრადიციული პურის მომზადების, როგორც უნიკალური კულტურული და გასტრონომიული ნიშის პოტენციალის შესწავლა;
- ადგილობრივი მეღვინეობის კულტურის პოტენციალის ანალიზი ახალციხის მუნიციპალიტეტში;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ტურისტებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- რეგიონული გზების, მათ შორის ახალციხე-ბათუმის გზის რეაბილიტაცია - ღირებული შესაძლებლობა გაუმჯობესებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის;
- მდგრადი და ინკლუზიური ტურისტული პრაქტიკის ხელშეწყობა;
- ტურიზმის სექტორში მეწარმეობის და ბიზნესის განვითარების/გაფართოების ხელშეწყობა;
- მდგრადი სათავგადასავლო ტურიზმის პრაქტიკის ხელშეწყობა, სადაც პრიორიტეტი ენიჭება გარემოს დაცვას, საზოგადოების ჩართულობას და ვიზიტორთა პასუხისმგებლობიან ქცევას;

## T

- გლობალური საფრთხეები, როგორიცაა პანდემია და ომები;
- მაღალი ხარჯები კომუნალურ გადასახადებზე;
- კულტურული ავთენტურობის დაკარგვა;
- არასწორი ტურისტული ინფრასტრუქტურის უარყოფითი გავლენა ბუნებაზე;
- ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ტურისტული ბიზნესის მიმართ ინტერესის ნაკლებობა;
- ენობრივი ბარიერი ხელს უშლის ეფექტურ კომუნიკაციას და ტურისტებთან ახლო ურთიერთობის ჩამოყალიბებას;



**რეკომენდაციები:**

- მეტი დაფინანსების გამოყოფა მუნიციპალიტეტებისთვის ძირითადი კეთილმოწყობის გასაუმჯობესებლად, როგორიცაა საგზაო ინფრასტრუქტურა, საზოგადოებრივი საპირფარეშოები და ნარჩენების მართვა;
- მეზობელ ტურისტულ დანიშნულების ადგილებთან საგზაო კავშირის გაუმჯობესება უკეთესი ხელმისაწვდომობისთვის;
- რეგიონში მდგრადი ეკოტურიზმისა და სათავგადასავლო ტურიზმის ინიციატივების განვითარების ხელშეწყობა, ბუნებრივი ადგილებისა და მრავალფეროვანი ღირშესანიშნაობების კაპიტალიზაციით.
- ადგილობრივი გიდებისა და აქტივობების მიმწოდებლების კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების და ტრენინგის შესაძლებლობების შექმნა და მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ უზრუნველყონ მაღალი ხარისხის ტურისტული მომსახურება.
- გიდების და აქტივობების მიმწოდებლების მხარდაჭერა მათი სერტიფიცირების პროცესებში, განსაკუთრებით სპეციალიზებულ სფეროებში, როგორიცაა ფრინველებზე დაკვირვება.
- ტურიზმის სექტორში მდგრადი პრაქტიკების დანერგვის ინიციატივების დაფინანსება, მაგალითად, როგორიცაა ნარჩენების მართვის პროგრამები და ენერგოეფექტური ინფრასტრუქტურა.
- კულტურულ ღონისძიებების, ფესტივალებისა და ტრადიციულ აქტივობების მხარდაჭერა ადგილობრივი კულტურის წარმოჩენისა და კულტურული გამოცდილებით დაინტერესებული ტურისტების მოსაზიდად.
- კულინარიული ნიშის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის ტრადიციული და უმცირესობების სამზარეულოს ჩათვლით, და ფერმერთა ბაზრის ორგანიზების მხარდაჭერა ტურისტული სეზონის პიკში.
- ინვესტიციის წახალისება ტურიზმთან დაკავშირებულ ბიზნესებში ფინანსური წახალისებისა და მხარდაჭერის გზით.
- რეგიონის სეზონურობის დასაძლევად იდეების მოკვლევა, როგორიცაა მაგალითად ზამთრის ყოველწლიური ფესტივალის ორგანიზება და ყინულზე თევზაობის შეჯიბრებები.



*მასალა მომზადდა პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ, პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.*

სრული ანგარიში იხილეთ

## USAID UNITY THROUGH DIVERSITY PROGRAM

# მეფუტკრეობის ღირებულებათა ჯაჭვები ქედის, შუახევის, ხულოს და ახალციხის, ახალქალქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში

მეფუტკრეობა პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორია აჭარის და სამცხე-ჯავახეთის შერჩეულ მუნიციპალიტეტებში. აჭარის და სამცხე-ჯავახეთის შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მეფუტკრეები დივერსიფიცირებულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევიან. ზოგიერთი მათგანი მისდევს მესაქონლეობას, მეღვინეობას, მეხილეობას და მეთევზეობას. მეფუტკრეთა ნაწილი ასევე დასაქმებულია საჯარო და კერძო დაწესებულებებში და რეგულარულად იღებენ ხელფასს. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის მეფუტკრეობა წარმოადგენს ტრადიციულ ოჯახურ ბიზნესს, რომელიც თაობებს შორისაა გადაცემული.

## სამცხე-ჯავახეთი




**სამუშაო ძალა:** მეფუტკრეობით ძირითადად მამაკაცები არიან დაკავებულნი - საოჯახო ბიზნესი. დახმარებისთვის ადგილობრივების დაქირავების შემთხვევაში დღიური ანაზღაურება შეადგენს 70 ლარს. ეთნიკური უმცირესობები ნაკლებად არიან ჩართულნი ეროვნულ ღირებულებათა ჯაჭვში ენობრივი ბარიერების გამო.

**წარმოებული პროდუქცია:** ალპური და მესხური თაფლი

**სხვა პროდუქტები** (გამოიყენება ოჯახურ მოხმარებაში - კომერციალიზაციის ძალიან დაბალი დონე): ფუტკრის რძე, დედა ფუტკარი, პროპოლისი, ცვილი, თაფლის არაყი, მტვერი, ჭეო, ფუტკრის შხამი.

**თაფლის დაწურვის პერიოდი -** ძირითადად წელიწადში ერთხელ - ივლისი - აგვისტოს ბოლო

**გაყიდვები**
- ადგილობრივი და საერთაშორისო პირები – სტაბილური მყიდველები
    - ფასი 20-30ლ/კგ
- არაბრენდირებული მაღაზეიები და გადამყიდველები
    - ფასი 10-12 ლ/კგ

**სექტორული მოთამაშეები სამცხე-ჯავახეთში:**

- საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება
- სამცხე-ჯავახეთის მეფუტკრეთა კლუბი (70 წევრი)
)

## აჭარა




**სამუშაო ძალა:** მეფუტკრეობით ძირითადად მამაკაცები არიან დაკავებულნი - საოჯახო ბიზნესი. დახმარებისთვის ადგილობრივების დაქირავების შემთხვევაში დღიური ანაზღაურება შეადგენს 50 ლარს. რელიგიური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი ბარიერები არ არსებობს.

**წარმოებული პროდუქტები**: წაბლის თაფლი, ცაცხვის თაფლი ან მათი ნაზავი, ჯარა ველური თაფლი

**სხვა პროდუქტები** (გამოიყენება ოჯახურ მოხმარებაში - კომერციალიზაციის ძალიან დაბალი დონე): ცვილი, პროპოლისი, მამალი ფუტკრის ჰომოგენატი, ფუტკრის რძე, თაფლის არაყი.

**თაფლის დაწურვის პერიოდი -** ძირითადად წელიწადში ერთხელ - ივლისის შუა რიცხვები - აგვისტოს ბოლო

**გაყიდვები**
- ადგილობრივი და საერთაშორის პირები – სტაბილური მყიდველები
    - ფასი 20-25ლ/კგ
- არაბრენდირებული მაღაზეიები და გადამყიდველები
    - ფასი 10-12ლ/კგ
- დამამუშავებელი საწარმო „აგრო ქედა“ („კახური ტრადიციული მეღვინეობის“ საწარმო)
    - ფასი GEL 11-12ლ/კგ
- დაბალი ფასის გამო ძირითადად არ თანამშრომლობენ აგრეგატორებთან (6-8 ლ/კგ)
- 2000-იანების დასაწყისში ზოგ მეწარმეს თაფლი თუქეთში გაქონდა

**სექტორული მოთამაშეები აჭარაში;**

- საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება
- ჯარას მეფუტკრეთა ასოციაცია (24 წევრი),
- აჭარის მეფუტკრეობის ბიზნეს ასოციაცია (120 members),
- პროფ. სასწავლებელი - კოლეჯი „ბლექს სი“

## SWOT Analysis

## S

- ბიომრავალფეროვნება და მეფუტკრეობის ტრადიციები
- თაფლი „ჯარა“ და ნინოწმინდის ალპური თაფლი
- შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება
- გამოცდილი მეფუტკრეების მიერ წარმოებული უმაღლესი ხარისხის თაფლი
- შესაბამისი პირობები და გარემო მაღალი ხარისხის თაფლის წარმოებისთვის
- ექსპორტის  დადებითი დინამიკა
- ჯარა თაფლის ექსპორტის გამოცდილება იაპონიაში
- მეფუტკრეობის სექტორის სახელმწიფო და საერთაშორისო დონორთა მხარდაჭერის პროგრამები
- აჭარაში გადამამუშავებელი საწარმოებისა და გაერთიანებების არსებობა
- მზარდი ტურისტული სექტორი და გაყიდვების ზრდის პოტენციალი

## W

- დაავადებების შესახებ ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა
- მაღალი ფასები თაფლის წარმოების პროდუქტებზე
- ფინანსური რესურსების ნაკლებობა
- მეფუტკრეების შეუსაბამო დამოკიდებულება დაავადების გავრცელების რისკებთან დაკავშირებით
- მკაცრი ზამთრის პირობები ხულოს მუნიციპალიტეტში
- დაბალი შესყიდვის ფასები აგრეგატორების და გადამამუშავებელი საწარმოების მხრიდან
- თაფლოვანი მცენარეების ნაკლებობა
- ბიო სერთიფიკატის მოპოვების პროცედურების და მისი უპირატესობების შესახებ ცოდნის ნაკლებობა
- საერთაშორისო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მაღალი ხარისხის თაფლის რაოდენობის ნაკლებობა
- აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ლაბორატორიული მომსახურების არარსებობა

## O

- ტექნოლოგიური მოდერნიზაცია და ცოდნის გადაცემა
- საექსპორტო ბაზრების პენეტრაცია, მათ შორის თურქეთში
- თაფლის ბრენდირება და შეფუთვა
- მეფუტრეობის სხვა პროდუქტების წარმოების ზრდა
- აგროტურიზმის სექტორის შემდგომი განვითარება
- აპიტურიზმის განვითარება
- თაფლოვანი მცენარეების აქტიური გაშენება
- ახალგაზრდების ჩართვა მეფუტკრეობის ბიზნესში
- მეფუტკრეობის პროდუქტების გაუმჯობესებული მარკეტინგი, მათ შორის საერთაშორისო გამოფენებსა და გამოფენებში მონაწილეობა
- მთავრობისა და დონორების მუდმივი მხარდაჭერა მეფუტკრეობის სექტორში
- თაფლზე ადგილობრივი და საერთაშორისო მოთხოვნის გაზრდა

## T

- ფუტკრის უკონტროლო მომთაბარეობა
- ახალი დაავადებების გავრცელება
- ფუტკრის ტკიპის გავრცელება
- ამერიკული სიდამპლის გავრცელება
- სამუშაო ძალის ქალაქებში მიგრაცია
- კლიმატის ცვლილება, გლობალური დათბობა
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების შეწამვლა სხვადასხვა მწერების საწინააღმდეგოდ

### რეკომენდაციები:

- არსებული მეფუტკრეობის ასოციაციების შემდგომი გაძლიერება – შეიძლება მიმართული იყოს წევრებისთვის ახალი სერვისების განვითარებაზე, ანალიტიკური და საინფორმაციო პერიოდული გამოცემების შემუშავებისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მსგავსი წარმატებული ასოციაციების ცოდნისა და გამოცდილების გადაცემისკენ.

- მეფუტკრეობისა და ტურიზმის სექტორებს შორის კავშირების ხელშეწყობა – შეიძლება მოიცავდეს ფუტკრის თერაპიის აპი სახლების განვითარებას და ტურისტული სერვისის პროვაიდერებთან კავშირების ხელშეწყობას.

- მეფუტკრეების მხარდაჭერა თაფლის ბრენდირებასა და შეფუთვაში

- მიზნობრივი მარკეტინგული კამპანიის განხორციელება

- მეფუტკრეობისთვის ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

- ჯარა მეფუტკრეთა ასოციაციის მხარდაჭერა თაფლის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნაში - საწარმოს შექმნა ხელს შეუწყობს გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, გააძლიერებს ასოციაციის წევრებს შორის თანამშრომლობას, გაზრდის წარმოებული თაფლის მოცულობასა და საექსპორტო კონკურენტუნარიანობას.





*მასალა მომზადდა პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ, პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.*

სრული ანგარიში იხილეთ

## კულტურული ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვი მარნეულის, ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში

ქვემო ქართლის ბოლნისის, დმანისის და მარნეულის მუნიციპალიტეტებში კულტურული ტურიზმის მრავალფეროვანი პერსპექტივა ვლინდება. დმანისი არქეოლოგიური ღირშესანიშნაობებით იზიდავს ისტორიის მოყვარულებს. ბოლნისის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის სინთეზი - სიონის, წუღრუღაშენის და ქვეშის ციხის სახით - უფრო მომხიბვლელს ხდის არსებულ ფონს. ეთნიკურად მრავალფეროვანი მარნეული კი ხელს რეგიონს გამორჩეული კულტურული იდენტობით ამდიდრებს. მარნეულის მალული პოტენციალის ათვისებისთვის გადამწყვეტი როლი აქვს დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. განთავსების საშუალებები, კულინარიული გამოცდილებები, ტურები და სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლები ქმნიან ერთიანი კულტურული იმერსიის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, გამოწვევები, რომლებიც გავლენას ახდენენ ეთნიკურ უმცირესობებზე, კერძოდ, მარნეულის შეზღუდული კულტურული რესურსებისა და ენობრივი ბარიერების სახით, მაინც არსებობს. თუმცა, სტრატეგიული ლოკაციებისა და მიმდებარე ღირშესანიშნაობების გამოყენებამ შესაძლოა ეს დაბრკოლებები შესაძლებლობებად გარდაქმნას. მუნიციპალიტეტების ეთნიკური შემადგენლობა, აზერბაიჯანული უმრავლესობით, ქმნის ენობრივ ბარიერებს, რაც ხაზს უსვამს ენობრივი ინკლუზიის სტრატეგიების აუცილებლობას.



**აერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა ქვემო ქართლში, 2022 (ათასი)**




**შიდა ვიზიტები ქვემო ქართლში, 2022 (ათასი)**







**საერთაშორისო ვიზიტები მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში, 2022**

- ქვემო ქართლს სულ 1.6 მილიონი ვიზიტორი ეწვია. მათგან 363,500 საერთაშორისო ვიზიტორი იყო, რაც მთლიანი რიცხვის 23%-ს შეადგენს. შიდა ვიზიტორების რაოდენობამ კი 1,251,000 შეადგინა, რაც მთლიანი ვიზიტორების 77%-ია.
- ქვემო ქართლის ვიზიტორების უმრავლესობა იყო სომხეთიდან (66%), რუსეთიდან (20%), აზერბაიჯანიდან (7%) და ყაზახეთიდან (2%).
- ქვემო ქართლის ვიზიტის ყველაზე ხშირი მიზანი მეგობრების და ნათესავების მონახულება (43%) და შოპინგია (39%). ვიზიტორების მხოლოდ 8% ეწვია რეგიონს დასვენების და რეკრეაციის მიზნით.
- კონკრეტული მუნიციპალიტეტების ჭრილში, 2022 წელს მარნეულმა ყველაზე მეტ ვიზიტორს (68,114) უმასპინძლა. ბოლნისს 40,588, ხოლო დმანისს 22,244 ვიზიტორი ჰყავდა.
- აღსანიშნავია, რომ მარნეულის სტუმრების 42% საერთაშორისო ვიზიტორია, რაც ხაზს უსვამს მის სტრატეგიულ მდებარეობას და ეთნიკურ მრავალფეროვნებას. მუნიციპალიტეტში ბევრი ვიზიტორია მეგობრების და ნათესავების მონახულების ან ბიზნესთან დაკავშირებული მიზნებით.
- საერთაშორისო ვიზიტორებმა ქვემო ქართლში 971,000 ღამე გაატარეს (რაც საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ გატარებული ღამეების 3%-ია). ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 2.7 ღამეს შეადგენს. ხოლო შიდა ვიზიტორებმა რეგიონში 1.7 მლნ ღამე გაატარეს, რაც შიდა ვიზიტორების მიერ ქვეყანაში გატარებული ღამეების 5%-ია. მათი ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა კი 1.3 ღამეს შეადგენს.
- მარნეულში სულ 1 მლნ ღამე გაატარეს ვიზიტორებმა. მათგან 52% შიდა ვიზიტორი იყო. ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობამ შიდა ვიზიტორებისთვის 2 ღამე შეადგინა, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორებისთვის 1.8 ღამე.

SWOT ანალიზი

## ძლიერი მხარეები

- მდიდარი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა მრავალფეროვანი ტურისტული ღირშესანიშნაობებით;
- მაღალი ხარისხის ეკო-მეგობრული სოფლის მეურნეობის პროდუქტები;
- მრავალფეროვანი ტურისტული პოტენციალი, კულტურული ტურიზმის, აგროტურიზმის და რეკრეაციული ტურიზმის შესაძლებლობების ჩათვლით;
- სტრატეგიული მდებარეობა თბილისთან, თბილისის აეროპორტთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ახლოს;
- ძირითადი სატრანსპორტო მარშრუტების გადაკვეთის წერტილი;
- საერთაშორისო გზები და რკინიგზა;
- ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტი;
- მრავალკულტურული საზოგადოება მრავალფეროვანი კულინარიითა და სამზარეულოთი.

## სუსტი მხარეები

- არასაკმარისი განთავსების საშუალებები;
- ადგილობრივ სასტუმრო ინდუსტრიაში კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობა;
- მუნიციპალიტეტებში ტურიზმის გზით შემოსავლის გენერირების შესახებ ინფორმაციის და ცნობიერების ნაკლებობა;
- კვალიფიციური კულტურული გიდების ნაკლებობა;
- მუზეუმებში მრავალენოვანი გიდების ნაკლებობა;
- შეზღუდული კეთილმოწყობილი კულტურული და რეკრეაციული სივრცეები;
- სუსტი საგზაო ინფრასტრუქტურა;
- თემატური სუვენირების მაღაზიების ნაკლებობა;
- ღირებულებათა ჯაჭვის მოთამაშეებს შორის თანამშრომლობის დაბალი მაჩვენებელი;
- შეზღუდული მიმოსვლა საზოგადო ტრანსპორტით;

## შესაძლებლობები

- ტურიზმის ხელშეწყობა რეგიონის ტრანსსასაზღვრო პოტენციალის გამოყენებით;
- კულტურული სიმდიდრის, ეკო-მეგობრულიპროდუქტების და მრავალფეროვანი კლიმატური პირობების გამოყენება კულტურული და აგროტურიზმის განვითარებისთვის;
- თბილისთან და სხვა ქვეყნებთან სიახლოვის გამოყენება ტურისტების ნაკადის გასაზრდელად;
- საერთაშორისო გზების და რკინიგზის მეშვეობით ტრანსსასაზღვრო თავგადასავლების და კულტურული გამოცდილებების გაზიარება
- მეტი ინვესტიცია განთავსების საშუალებებში, კვალიფიციურ გიდებში და ტურიზმის კეთილმოწყობაში;
- კულტურული და რეკრეაციული სივრცეების კეთილმოწყობა;
- გზების, წყლის მიწოდების, კანალიზაციის და სხვა ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ინტერნეტთან კავშირის გაუმჯობესება ტურიზმის ციფრული ბაზრის ასათვისებლად;

## საფრთხეები

- ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ტურიზმის საქმიანობაში ჩართვის მიმართ ნაკლები ინტერესი;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორების მცირე რაოდენობა;
- ენობრივი ბარიერი ხელს უშლის ეფექტურ კომუნიკაციას და ტურისტებთან ახლო ურთიერთობის ჩამოყალიბებას;

**რეკომენდაციები:**

- დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) ჩამოყალიბება, რომელიც გააერთიანებს საჯარო და კერძო დაინტერესებულ პირებს/ორგანიზაციებს და ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით ძალისხმევის კოორდინირებას, სტრატეგიულ მარკეტინგს, და რეგიონის, როგორც დანიშნულების ადგილის მართვას.
- ტურიზმის სეგმენტის კონკრეტული ნიშების განვითარების ხელშეწყობა, როგორიცაა ღვინის ან არქეოლოგიური ტურიზმი, რათა მოხდეს ვიზიტორთა პროფილის დივერსიფიცირება და სეზონურობის ეფექტის შემცირება;
- ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება მეზობელ რეგიონებსა და ქვეყნებთან, რათა მოხდეს საზიარო ტურისტული გამოცდილების და კულტურული გაცვლის გამოუყენებელი პოტენციალის ათვისება.
- ინვესტირება ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარებაში, მათ შორის კანალიზაციის, საზოგადოებრივი საპირფარეშოების და ტურისტული კეთილმოწყობის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ვიზიტორების კომფორტი;
- ადგილობრივი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომ ტურისტებმა მარტივად შეძლონ მიმოსვლა მიმდებარე ტურისტულ ღირშესანიშნაობებს შორის;
- ენის კურსების შეთავაზება დიდი თაობის წარმომადგენლებისთვის რათა მათ შეძლონ ტურისტებთან ეფექტური კომუნიკაცია;
- ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასა და ბიზნეს სექტორში რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესახებ, დამატებითი შემოსავლის გენერირებაში მისი როლის ხაზგასმით;
- ადგილობრივი სასტუმრო და სარესტორნო ინდუსტრიის მხარდაჭერა არსებულ სასტუმროებში, კაფეებში, ბარებსა და გასართობ პუნქტებში ინფრასტრუქტურული გამოწვევების აღმოფხვრის გზით, რათა გაუმჯობესდეს სტუმრის გამოცდილება. ეს მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს გრანტებს სარემონტო სამუშაოებისთვის, მოდერნიზებისთვის, და მდგრადი პრაქტიკების დანერგვისთვის.
- რესურსების გამოყოფა ადგილობრივი მუზეუმების მოდერნიზებისთვის და ვიზიტორთა გამოცდილების გამდიდრება ვირტუალური რეალობის (VR), გაზრდილი რეალობის (AR), აუდიო გიდების, და ინტერაქტიული ჩვენებების მეშვეობით.
- თემატური სუვენირების მაღაზიების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომელიც ადგილობრივ ხელნაკეთი ნივთების მეწარმეებთან თანამშრომლობით წარმოაჩენს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას უნიკალური, ავთენტური ნივთებით.

*მასალა მომზადდა პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ, პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.*

სრული ანგარიში იხილეთ

## მერძევეობის ღირებულებათა ჯაჭვი ახალციხეში, ახალქალაქში, ნინოწმინდასა და ხულოს მუნიციპალიტეტებში



მერძევეობის სექტორი სამიზნე მუნიციპალიტეტებში განისაზღვრება მთიანი რელიეფითა და ალპური საძოვრებით. ფერმერების უმეტესობა მთლიანად ამარაგებს საკუთარვე თავს ცხოველის საკვებით, ნაწილი კი მეზობელი რეგიონებიდან ახდენს იმპორტს. საქონლის პროდუქტიულობა ცვალებადია მუნიციპალიტეტების მიხედვით: ნინოწმინდა და ახალქალაქი ძირითად აქცენტს მერძეულ პროდუქტებზე ახდენენ, ხოლო ახალციხეში ფერმერებიშ შედარებით დიდი ნაწილი ხორცის წარმოებით სპეციალიზდება. ყველაზე ხშირად გვხვდება მცირე ზომის ფერმები, თუმცა წარმოების უმეტესობა ხორციელდება ინდუსტრიული ზომის ფერმებში. გადამამუშავებელი საწარმოების სიმწირიდან და ტრანსპორტირების მაღალი ფასიდან გამომდინარე ხშირია ინტეგრირებული ფერმები, სადაც ნედლი რძის წარმოებასთან ერთად გადამუშავებაც ხორციელდება.

### პროდუქციის წილი




**ნედლი რძის წარმოება:**
- სამცხე-ჯავახეთი და აჭარის რეგიონებში არსებული საქონელი შეადგენს ქვეყნის 18.3%, ხოლო რძის პროდუქტცია კი 18.4%-ს.

**ვერტიკალურად ინტეგრირებული მერძეული ფერმები:**
- მწირად დასახლებულ რეგიონებში ფერმები ვერტიკალურად ინტეგრირებულები არიან, რაც ამცირებს პროდუქტიულობას.

**ვეტერინარების დეფიციტი:**
- პროფესიონალი ვეტერინარების მწვავე სიმწირე ახალქალაქის, ნინოწმინდის, ახალციხისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში

- **საშუალო წლიური წველადობა** შეადგენს **1326 ლიტრს აჭარაში,** ხოლო **1621 ლიტრს სამცხე-ჯავახეთში**, რაც ევროკავშირის მაჩვენებელთან 4-5 ჯერ ნაკლებია.
- ფერმების უმეტესობა შინამეურნებოების ტიპისაა, **დაბალი წველადობის ჯიშებით, ღია კვების სისტემებითა** და **არაეფექტური კვების მეთოდებით.**
- რეგიონში ყველაზე გავრცელებული, **ქარხნული ყველის, დამზადება ნედლი რძისგან ჯდება 16-18 ლარი,** რაც **რძის ფხვნილის გამოყენების შემთხვევაში ფასს 14 ლარამდე ამცირებს.**
- ადგილობრივი მერძეული პროდუქტები **ექსპორტზე** გადის **სომხეთში, აშშ-სა** და **კანადაში.**

### ნედლი რძის ფასი რეგიონში




შუამავლებზე მაღალი დამოკიდებულებიდან გამომდინარე ფერმერებს უწევთ გამკლავება ისეთ პრობლემებთან, როგორიცაა **პროდქტის საბოლოო დანიშნულებისა და ფასის განსაზღვრა.** მიუხედავად ამ პრობლემებისა, რეგიონში იწარმოება მაღალი ხარისხის მერძეული პროექტუები, რომლებიც იყიდება როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. მთავარ გამოწვევას კი **რძის ფხვნილისაგან და სხვა მეთოდებით დამზადებული პროდუქტების კონკურენცია** წარმოადგენს, რაც საგრძნობლად ამცირებს ფასებს და ფერმების მომგებიანობას.

# SWOT ანალიზი

## ძლიერი მხარეები

- **ბუნებრივი რესურსები**: რეგიონს გააჩნია მესაქონლეობის სექტორისთვის აუცილებელი საძოვარი მიწები, ხელშემწყობი კლიმატი და წყლის რესურსები.
- **კულტურული მემკვიდრეობები**: რეგიონში არსებული ტრადიციები და ყველის დამზადების ადგილობრივი მეთოდები.
- **ადგილობრივი მოთხოვნა**: მაღალი მოთხოვნა ადგილობრივი პროდუქტის რეგიონის ბაზრებზე.
- **ექსპორტის პოტენციალი**: სიახლოვე სომხეთის საზღვართან აძლევს ფერმერებს შესძლებლობას გაიტანონ ადგილობრივი პროდუქტი ექსპორტზე მინიმალური ტრანსპორტირების დანახარჯებით

## სუსტი მხარეები

- **შეზღუდული ინფრასტრუქტურა**: მოძველებული გადამამუშავებელი საწარმოები და შეზღუდული სატრანსპორტო ქსელები ზღუდავს წარმოებასა და ეფექტურ დისტრიბუციას.
- **ღირებულების დამატება**: პირველად წარმოებაზე ფოკუსირების შედეგად შედარებით ნაკლები შესაძლებლობაა მაღალი ღირებულების პროდუქტების წარმოების.
- **სუსტი საბაზრო კავშირები**: არაეფექტური ინტეგრაცია და საბაზრო კავშირებისა თუ ინფორმაციის მიმოცვლის ხარვეზები ქმნიან დიდ ბარიერს მყიდველებსა და ფერმერებს შორის.
- **მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტი**: სპეციალიზებური ტრენინგების ნაკლებობის ფონზე, ხარისხის კონტროლის მუშახელის ნაკლებობა აფერხებს სექტორის განვითარებას.
- **მანძილი ფერმებს შორის**: ფართოდ გაშლილი დასახლებები თუ ფერმები ამწვავებენ უკვე არსებულ ტრანსპორტაციისა თუ მუშახელის ნაკლებობის პრობლემებს.
- **ტრადიციული ფერმის მეთოდები:** ინოვაციის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ტრადიციული მეთოდებისადმი მიდრეკილებაა.
- **ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის ნაკლებობა**: თანამედროვე განაყოფიერების პრაქტიკებისა და სუფთა ჯიშების ნაკლებობა იწვევს დაბალ წველადობას.
- **ენის ბარიერი**: ქსეულრ მარკეტებს სტიმულს უკარგავს შეიძინონ ადგილობრივი ფერმერებისგან.

## შესაძლებლობები

- **მაღალი ხარისხის პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნა:** ზრდადი მოთხოვნა უსაფრთხო და ჯანსაღ პროდუქტზე შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივ ფერმებს აითვისონ ბაზრის სეგმენტი.
- **ტურისტული პოტენციალი**: ბუნებრივი ღირშესანიშნაობები და კულტურული მემკვიდრეობები წარმოადგენს აგროტურიზმის განვითარების საფუძველს.
- **HoReCa კავშირები**: გაზრდილი ტურისტული ნაკადები ფერმერებს საშუალებას აძლევს HoReCa სექტორს მიაწოდონ ადგილობრივი პროდუქცია.
- **სახელმწიფო მხარდაჭერა**: სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ფოკუსირება უზრუნველყოფს დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას, ტექნიკურ უზრუნველყოფასა და მარეგულირებელ მხარდაჭერას.
- **თანამშრომლობა კვლევით ინსტიტუტებთან:** პარტნიორობა ხელს უწყობს ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ეფექტური პრაქტიკის მიღებას.
- **საექსპორტო პოტენციალი**: საერთაშორისო მოთხოვნის გაფართოება იძლევა შემოსავლების ნაკადების დივერსიფიკაციის შესაძლებლობებს.
- **პირდაპირი კავშირი ქსელურ მარკეტებთან:** პირდაპირი კავშირის დამყარება რათა ფერმერებმა თავი აარიდონ არაკონკურენტუნარიან ბაზრების.
- **ჰორიზონტალური ინტეგრაცია**: დიდი ზომმის ფერმებს აქვთ საშუალება პროდუქცია პირდაპირ გაყიდონ მომხმარებლებზე.

## საფრთხეები

- **გაზრდილი კონკურენცია:** გაზრდილი იაფი პროდუქტის იმპორტის ფონზე შესაძლებელია ფერმების მომგებლიანობა საფრთხის ქვეშ დააყენოს.
- **დაავადების გავრცელება:** პირუტყვის დაავადებებს შეუძლია გავლენა მოახდინოს წარმოებაზე, ვაჭრობაზე და მომხმარებელთა ნდობაზე.
- **კლიმატის ცვლილება:** გარემოს გამოწვევები გავლენას ახდენს პირუტყვის ჯანმრთელობაზე, საკვების ხელმისაწვდომობაზე და ზოგადად წარმოებაზე.
- **მარეგულირებელის შეზღუდვები:** განვითარებადი რეგულაციების გამკაცრება და შესაბამისობის მოთხოვნების მიერ მცირე მწარმოებლების გადატვირთვა.
- **შეზღუდული ხელმისაწვდომობა საინფორმაციო არხებთან და ტექნოლოგიებთან:** საგრძნობლად აფერხებს ინოვაციას.
- **მოსახლეობის შემცირება**: მოსახლეობის ვარდნამ შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი მოთხოვნის შემცირება და დამატებით გააძვიროს მუშახელი.

## რეკომენდაციები ფერმერებისთვის

- ადგილობრივი ჯიშების ჩანაცვლება
- თანამედროვე გამრავლების პრაქტიკების შემოღება
- ხარჯების შემცირების მიზნით ფინანსური აღრიცხვის დაწყება
- ბაგური კვების ფერმების შემოღება
- პირუტყვის საკვების გაუმჯობესება
- შეფუთვის შემოღება პროდუქტის ცნობადობის ასამაღლებლად
- ბიზნესების ჰორიზანტალური ინტეგრაცია
- გადაჭარბაბებული ძოვების მინიმიზაცია მიწის უკეთესი მენეჯმენტის საშუალებით
- პროფესიონალური ვეტერინარების დაქირავება
- HACCP-ის გარდა სხვა ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვა.

## რეკომენდაციები საჯარო ინსტიტუტებისთვის

- ენის სასწავლო კურსები ეთნიკური უმცირესობებისთვის
- ქსელური მარკეტების წახალისება ადგილობრივი მარკეტიდან პირველადი შენაძინს გაკეტების. რაც, წარმატების შემთხვევაში ორივე მხარისთვის ფინანსურად მომგებიანი უნდა იყოს
- ბიზნეს გეგმების გაწერის უნარჩვევების განვითარება
- ფერმერებსა, გადამამუშავებელ საწქარმოებსა და ქსელურ მარკეტებს შორის ფასილიტაცია
- თანადაფინანსების მეშვეობით პროდუქტიულობის გაზრდის წახალისება

*მასალა მომზადდა პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ, პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.*

სრული ანგარიში იხილეთ

# მერძევეობის ღირებულებათა ჯაჭვი მარნეულში, ბოლნისში, დმანისში, წალკასა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში



ქვემო ქართლის საქართველოს მასშტაბით წარმოებული მერძევეობის პროდუქციის 22.1% იწარმოება, რაც სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე დიდ წილს შეადგენს. ასრებული მდგომარეობა ასახავს არამხოლოდ სექტორის ზომას, არამედ მაღალ პროდუქტიულობასაც. ამავდროულად, აუცილებელია გათვალისწინებული იყოს სექტორის სხვა მახასიათებლები ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებათა ქრილში მუნიციპალიტებში, როგორებიცაა მარნეულის, დმანისის, წალკას, გარდაბნისა და ბოლნისის.

ქვემო ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც დედაქალაქთან სიახლოვე, ასევე მთიანი რელიეფი, სადაც მოთავსებულია არაერთი დიდი ზომის გადამამუშავებელი საწარმო და მსგავსი მასშტაბის ფერმებიც. შემცირებული პროდუქტიულობის, გაძვირებული საკვებისა და პირუტყვის ნაკლებობის ფონზე შინამეურნეობის მესაქონლეობის აქტივობა საგრძნობლად შემცირებულია. შედეგად, ნაწილი არაეთიკურ პრაქტიკებს მიმართავს, როგორიცაა რძის წყალსა და ფხვნილში შერევა, რაც საგრძნობლად აფერხებს გადამამუშავებლების საქმიანობას.

**მსხვილი მწარმოებელი:**

- ქვემო ქართლში იწარმოება ყველაზე დიდი რაოდენობით მესაქონლეობისა და მერძევეობის პროდუქტები

**გამოწვევები სოფლის მეურნეობაში:**

- უმრავლესობა ფერმერებისთვის თანამედროვე პრაქტიკები არამხოლოდ ფინანსურად ხელმიუწვდომელია, არამედ ამ პრაქტიკების არსებობის შემთხვევაშიც კი ცოდნა დამატებითი ბარიერია

**ხარისხის კონტროლი ქვემო ქართლში:**

- გადამამუშავებელი საწრამოებისთვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს რძის ხარისხის კონტროლი

**პროდუქციის წილი**




**წველადობა (ლიტრი წელიწადში)**




- **საშუალოდ ძროხის წველადობა** 2006 წელთან შედარებით **68%-ით გაიზარდა.**
- საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით **ფერმების ზომებს სხვაობა შედარებით თვალსაჩინოა.**
- **ფხვნილით გაჯერებული რძე ნედლ რძესთან შედარებით ნახევარ ფასად იყიდება**, რაც საგრძნობლად ამცირებს რძის პროდუქტების ფასებს.
- გამოყენებული ანტიბიოტიკების აღრიცხვისა და რძეში მძიმე მეტალის არსებობა გადამამუშავებლები საწარმროებისთვის დამატებით ბარიერებს უქმნის.

ქვემო ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში კი გვხვდება სხსვა სახის გამოწვევები, როგორიცაა შინამეურნეობების მხრიდან რძის ხარისხის კონტროლის ნაკლებობა და შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობები, მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემები, მექანიზაციის დაბალი დონე და ფინანსური თუ სხვა აღრიცხვების არარსებობა. მიუხედავად ამ წინაღობებისა, ქვემო ქართლი საქართველოში ყველაზე დიდი მიმწოდებელია მერძეული პროდუქტებისა, ხარისხის და პროდუქტიულობის გაზრდის პოტენციალით.

## SWOT ანალიზი

**S**

- **ბუნებრივი რესურსები**: რეგიონს გააჩნია მესაქონლეობის სექტორისთვის აუცილებელი საძოვარი მიწები, ხელშემწყობი კლიმატი და წყლის რესურსები.
- **ექსტენსიური კომერციული ფერმები**: მსხვილი ზომის ფერმები ხელოვნური განაყოფიერების მეშვეობით ინარჩუნებენ საქონლის ჯიშის ხარისხს
- **არსებული ადგილობრივი მოთხოვნა**: მარნეულში არსებული ადგილობრივი ბაზარი წარმოადგენს სამომავლო ზრდის შესაძლებლობას.
- **სიახლოვე დედაქალაქთან:** ფერმებს, რომლებიც თბილისთან 50 კმ დაშორებით იმყოფებიან, ტრანსპორტირების ხარჯი საგრძნობლად შემცირებული აქვთ.
- **გადამამუშავებელი საწარმოები**: რეგიონში მოთავსებულია დიდი ზომის გადამამუშავებელი საწარმოები, რამდენიმე მათგანი კი ნედლი რძის ტრანსპორტირებასაც უზრუნველყოფს.
- **მზრდადი შრომის ბაზარი**: აზერბაიჯანული ეთნიკური დასახლებში არსებული იაფი და ხელმისაწვდომი მუშახელი

**W**

- **მექანიზაციის დეფიციტი**: მექანიზაციის სუბსიდირების პროგრამის შეწყვეტამ საგრძნობლად გაზარდა ცხოველის საკვების ფასები.
- **ენობრივი ბარიერები**: აზერბაიჯანულად მოლაპარაკე მოსახლეობას ვერ ლახავენ ენობრივ ბარიერებს, რაც საგრძნობლად აფერხებს ქართველ ფერმერებთან კოლაბორაციას.
- **ტრადიციული ფერმის მეთოდები:** ინოვაციის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ტრადიციული მეთოდებისადმი მიდრეკილებაა.
- **ხელოვნურ განაყოფიერებაში ინვესტირების წინაღობა**: ფერმერების უმეტესობა არ მიიჩნევენ რომ ხელოვნურ განაყოფიერებაში ინვესტირება გამოიღებს ფინანსურ შედეგებს.
- **საქონლის ნაკლებობა:** გაზრდილი ცოცხალი საქონლის ექსპორტი ზრდის საქონლის გამრავლების ფასებს.
- **სუფთა ჯიშებისადმი უნდობლობა**: წარსულში არსებული ხარვეზები სუფთა ჯიშის საქონელთან დაკავშირებით.
- **ნედლი რძის ხარისხი:** რძის ფხვნილისა და წყლის შერევის შედეგად ნედლი რძის ხარისხი ჩამოუვარდება მიღებულ სტანდარტებს.
- **მუშა ხელის ნაკლებობა ქართულ დასახლებებში**: მოსახლეობის ვარდნა საგრძნობლად ზრდის მუშახელის ფასს.

**O**

- **რძის ხარისხის გაუმჯობესება:** შინამეურნეობებში გამკაცრებული რძის წარმოების კონტროლით შესაძლებელია ხარისხის საგრძნობლად გაზრდა.
- **ტურისტული პოტენციალი**: ბუნებრივი ღირშესანიშნაობები და კულტურული მემკვიდრეობები წარმოადგენს აგროტურიზმის განვითარების საფუძველს
- **ინდუსტრიულ და შინამეურნეობის ფერმებს შორის კოოპერაცია**: შინამეურნეობების მხრიდან გამოუყენებელი პოტენციალი აითვისონ თანამედროვე მეთოდები და დიდი ზომის ფერმებისგან.
- **მაღალი ხარისხის პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნა**: ზრდადი მოთხოვნა უსაფრთხო და ჯანსაღ პროდუქტზე შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივ ფერმებს აითვისონ ბაზრის სეგმენტი.
- **ყველის წარმოების დივერსიფიკაცია:** გადამამუშავებელი საწარმოების სურვილი, რომ მოახდინონ ყველის სახეობების დივერსიფიკაცია, რათა დააკმაყოფილონ მომხმარებლების მოთხოვნილებები.

**T**

- **Diminished Reputation**: Use of powdered milk and water tarnishes the reputation of household farmers, risking discontinuation of purchases.
- **Risk of Contaminated Products**: Limited quality assessments may lead to hazardous products, damaging the region's agricultural reputation.
- **Declining Livestock Farms**: Increasing costs, inability to acquire breeding cattle, and low milk prices strain farmers, leading to farm closures and decreased milk supply.

### რეკომენდაცია ფერმერებისთვის

- ხარისხის კონტროლის გაზრდა
- ანტიბიოტიკების აღრიცხვა
- ბაგური კვების სისტემაზე გადასვლა
- მიწისა და საძოვრების მენეჯმენტი
- ადგილობრივი ჯიშების სუფთა ჯიშებით ჩანაცვლება
- თანამედროვე გამრავლების მეთოდების შემოღება, როგორიცაა ხელოვნური განაყოფიერება

### რეკომენდაციები საჯარო ინსტიტუტებისთის

- ენის სასწავლო კურსები ეთნიკური უმცირესობებისთვის
- ბიზნეს გეგმების გაწერის უნარჩვევების განვითარება
- ფერმერებსა, გადამამუშავებელ საწქარმოებსა და ქსელურ მარკეტებს შორის ფასილიტაცია
- თანადაფინანსების მეშვეობით პროდუქტიულობის გაზრდის წახალისება
- უცხოური ექსპერტიზის იმპლემენტაცია
- ქსელური მარკეტების წახალისება ადგილობრივი მარკეტიდან პირველადი შენაძინს გაკეტების. რაც, წარმატების შემთხვევაში ორივე მხარისთვის ფინანსურად მომგებიანი უნდა იყოს

*მასალა მომზადდა პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ, პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.*

სრული ანგარიში იხილეთ

# USAID UNITY THROUGH DIVERSITY PROGRAM

## კარტოფილი ღირებულებათა ჯაჭვი ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, და ხულოს მუნიციპალიტეტებში

მოსავლის მოყვანისა და კარტოფილის მოვლის თანამედროვე, მაღალპროდუქტიული მეთოდების შესახებ ცოდნის ნაკლებობა, შეზღუდული ინფორმირებულობა ნიადაგის ანალიზის, მოსავლის როტაციის, თესლის შერჩევის, სასუქებისა და პესტიციდების მიზანმიმართული გამოყენების შესახებ, კარტოფილის გადამუშავების შესაძლებლობებისა და ფინანსური განათლების დეფიციტი, წარმოადგენს მთავარი გამოწვევას სამიზნე მუნიციპალიტეტებში.

- საქართველოში კარტოფილის მწარმოებელი წამყვანი რეგიონია **სამცხე-ჯავახეთი,** რომელსაც მოჰყვება **ქვემო ქართლი** და **აჭარა**.
- სამიზნე მუნიციპალიტეტებში კარტოფილის **გავრცელებული ჯიშებია ჯელი, პიკასო, აგრია, არიზონა** და **არნოვა.**
- სამიზნე მუნიციპალიტეტებში ფერმერების **მიწის ნაკვეთთა** უმრავლესობა მცირე და დანაწევრებულია.
- წარმოება სამიზნე მუნიციპალიტეტებში ძირითადად დაბალი ხარისხის **სათესლე მასალას** იყენებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მოსავლიანობასა და ნაყოფის ხარისხს.
- მოსავლის აღება დღიურად **1 ჰექტარზე 30-40 ადამიანს** საჭიროებს.
- წარმოების პროცესი დაყოფილია **გენდერული ნიშნით** - მამაკაცები მონაწილეობენ მიწის დამუშავებასა და კულტივაციის პროცესში, ხოლო ქალები იღებენ და ახარისხებენ მოსავალს.
- სამიზნე მუნიციპალიტეტებში ფერმერთა უმეტესობა **საწყობად** საკუთარ სარდაფს იყენებს.
- ფერმერთა უმეტესობა კარტოფილს ყიდის **ფერმის კართან.**










- **სამცხე-ჯავახეთში ასოციაცია ახალქალაქის** კარტოფილი 250 ფერმერს აერთიანებს.
- კარტოფილის მწარმოებელ ფერმერებს შეუძლიათ შეუერთდნენ **საქართველოს ფერმერთა ასოციაციას**, ბიოლოგიური მეურნეობის ასოციაცია **ელკანას** და **საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაციას (ABCO).**
- სამიზნე მუნიციპალიტეტებში ჯამში 8 პროფესიული კოლეჯი ფუნქციონირებს, თუმცა კოლეჯების უმრავლესობა კონცენტრირებულია ახალციხის, მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში. აღნიშნული კოლეჯებიდან მხოლოდ ახალციხის მუნიციპალიტეტში **კოლეჯ „ოპიზარს“** აქვს კარტოფილის მოყვანასთან დაკავშირებული მოკლევადიანი პროგრამა, რომელიც ელკანასთან და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრთან თანამშრომლობით ხორციელდება.

**სოფლის განვითარების სააგენტო**

**აწარმოე საქართველოში**

**USAID**

**ავსტრიის განვითარების სააგენტო**

**კარტოფილის საერთაშორისო ცენტრი**

# SWOT ანალიზი

### ძლიერი მხარეები

- შესაფერისი კლიმატი კარტოფილის მოყვანისთვის
- კარტოფილის მოყვანის ტრადიცია
- კარტოფილის მრავალფეროვანი ჯიშები
- ნიადაგის შესაფერისი აგებულება
- ხელმისაწვდომი წყლის რესურსი
- სახელმწიფო და საერთაშორისო პროექტები კარტოფილის წარმოების მხარდასაჭერად
- კარტოფილის ასოციაცია ახალქალაქში

### სუსტი მხარეები

- შეზღუდული წვდომა მაღალი ხარისხის თესლზე მაღალი ფასიდან გამომდინარე
- სერტიფიცირებული თესლის მწარმოებლების არარსებობა
- შორეულ სოფლებში პესტიციდებისა და სასუქებზე შეზღუდული არჩევანი
- არასაკმარისი და მოძველებული სამეურნეო ტექნიკა და აღჭურვილობა
- გაუმართავი სარწყავი ინფრასტრუქტურა
- მწირი ადამიანური რესურსი მოსახლეობის დაბერებისა და ემიგრაციის მაღალი მაჩვენებლების გამო
- კარტოფილის მოყვანისა და მოვლის თანამედროვე (მაღალპროდუქტიული) მეთოდების ცოდნის ნაკლებობა
- ფერმერების შეზღუდული ცნობიერება ნიადაგის ანალიზის მნიშვნელობის შესახებ
- ფერმერების შეზღუდული ინფორმირებულობა თესლბრუნვის საჭიროების შესახებ
- მცირე ზომის და დანაწევრებული მიწის ნაკვეთები
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა
- გაუმართავი სასაწყობე მეურნეობები
- გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე
- კარტოფილის მერყევი ფასი

### შესაძლებლობები

- მაღალი ხარისხის კარტოფილის თესლზე ხელმისაწვდომობის გაზრდა
- გაზრდილი ხელმისაწვდომობა თანამედროვე აღჭურვილობასა და ტექნიკაზე
- სასაწყობე და გადამამუშავებელი მეურნეობების განვითარება
- ტრანსსასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება
- კარტოფილის ღირებულებათა ჯაჭვში კავშირების გაუმჯობესება
- ორგანული კარტოფილის წარმოება
- კარტოფილის შეფუთვა და ბრენდირება
- ხულო-ახალციხის გზის გახსნა (ხულოში გაყიდვების შესაძლებლობების გაზრდა)
- სახელმწიფო (RDA) და USAID-ის პროგრამები

### საფრთხეები

- მავნებლებისა და დაავადებების გავრცელება
- ნიადაგის ეროზიის/დაზიანების რისკი
- კლიმატის ცვლილებები
- სტიქიური უბედურებების გამო მოსავლის დაკარგვა და ფერმერების მიერ სადაზღვევო მექანიზმების არ გამოყენება
- საბაზრო კონკურენცია იმპორტირებულ კარტოფილთან)
- შიდა და გარე მიგრაციის გამო მოსახლეობის დაბერება
- არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა

## რეკომენდაციები:

- სერტიფიცირებული თესლის მწარმოებლების ხელშეწყობა თესლის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

- სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სამიზნე მუნიციპალიტეტებში თანამშრომლობითი კავშირების გაძლიერება სუპერმარკეტებსა/ჰიპერმარკეტებსა და ადგილობრივ კარტოფილის მწარმოებელ ფერმერებს შორის.

- ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სამიზნე მუნიციპალიტეტებში ენერგო ეფექტური სასაწყობე მეურნეობების შექმნის

- ფერმერებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და აღჭურვილობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით

- ახალქალაქში არსებული კარტოფილის ასოციაციის გაძლიერება

- ფერმერების ცნობიერების ამაღლება ორგანული კარტოფილის მოყვანის ტექნოლოგიების შესახებ და საზოგადოების

  ინფორმირებულობის გაზრდა ორგანული კარტოფილის მნიშვნელობის შესახებ.

- ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში კარტოფილის გადამამუშავებელი მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა.

*მასალა მომზადდა პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ, პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.*

სრული ანგარიში იხილეთ

# USAID UNITY THROUGH DIVERSITY PROGRAM

## ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების ღირებულებითი ჯაჭვის ანალიზი




ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების ღირებულებითი ჯაჭვი მარნეულის და ქედის მუნიციპალიტეტებში შერჩეულ იქნა განვითარების მაღალი პოტენციალის გამო. მარნეულის და ქედის მუნიციპალიტეტებში, ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების ღირებულებით ჯაჭვში ორი მნიშვნელოვანი მოთამაშეა: „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ და „აგრო ქედა“.

### მარნეული

- „მარნეულის სასურსათო ქარხანას“ დაახლოებით **150 ფერმერთან აქვს ბიზნეს კავშირები** პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეძენის მიზნით
- „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ ხილის და ბოსტნეულის **90-95%-ს ქვემო ქართლის რეგიონში ყიდულობს**
- 2022 წელს„მარნეულის სასურსათო ქარხანამ“ **5 მილიონ ქილამდე** სხვადასხვა პროდუქტი აწარმოა:
  - ✓ტომატის პასტა
  - ✓კიტრის მწნილი
  - ✓ბოსტნეულის ასორტი
  - ✓საწებლები
  - ✓აჯიკა
  - ✓ხილის ჯემები
- ხილის და ბოსტნეულის მოსავლის აღებისას **დომინირებს ხელით შრომა**
- „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ და მისი შვილობილი „მარნეული აგრო“ წლის განმავლობაში 350-მდე ადამიანს ასაქმებს. სამუშაო ძალის 73% ეთნიკური აზერბაიჯანელია.
- დასაქმებულთა უმეტესობა ქალია.

**სამუშაო ძალის განაწილება სქესის მიხედვით "მარნეულის სასურსათო ქარხანაში" და "მარნეული აგროში"**




- პროდუქციის უმეტესობა საქართველოში იყიდება.




მარნეულის სასურსათო ქარხნის გაყიდვების არხების განაწილება მარნეულის

- ექსპორტის 60% მიემართება აშშ-ს ბაზარზე, ხოლო 40% ევროკავშირის ქვეყნებში.

### ქედა

- „აგრო ქედა“ ხილს და ბოსტნეულს უმეტესად აჭარის გარეთ ყიდულობს
- „აგრო ქედა“ წლის განმავლობაში 400 000 ბოთლამდე სხვადასხვა პროდუქტს აწარმოებს:
  - ✓საწებლები
  - ✓აჯიკა
  - ✓თაფლი
  - ✓ჯემები
  - ✓კონფიტიურა
- ხილის და ბოსტნეულის მოსავლის აღებისას **დომინირებს ხელით შრომა**
- „აგრო ქედას“ თანამშრომლების 50% მუსულმანია



**სამუშაო ძალის განაწილება სქესის მიხედვით "აგრო ქედაში"**




- პროდუქციის უმეტესი წილი ექსპორტზე გადის




„აგრო ქედას“ გაყიდვების არხების განაწილება

- პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება ისრაელში, პოლონეთში, რუსეთის ფედერაციაში, აშშ-ში, ლატვიაში და აზერბაიჯანში

# SWOT ანალიზი

## ძლიერი მხარეები

- ხელსაყრელი პირობები ხილის და ბოსტნეულის მოსავლის მოსაყვანად;
- კარგი ხარისხის ადგილობრივი ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები;
- პოზიტიური თანამშრომლობის გამოცდილება ადგილობრივ ფერმერებსა და საკვების გადამამუშავებელ კომპანიებს შორის;
- უწყვეტი ძალისხმევა გადამამუშავებელ საწარმოებში ახალი, ინოვაციური პროდუქტების საწარმოებლად;
- მზარდი საექსპორტო კონკურენტუნარიანობა და გაზრდილი საექსპორტო მოთხოვნა გადამუშავებულ პროდუქტებზე;
- ახალ ბაზრებზე შესვლა, როგორებიცაა ავსტრალია, ახალი ზელანდია, იაპონია და კუბა;
- მზარდი მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზე;
- DCFTA, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები თურქეთთან, ჩინეთთან, დსთ-თან
- ქართულ პროდუქციის მიმართ პოზიტიური განწყობა ადგილობრივ ბაზარზე.

## სუსტი მხარეები

- ქართველი ფერმერების დაბალი პროდუქტიულობა;
- ძირითადად ხელით შრომა პირველად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში;
- ხარისხის სტანდარტების არარსებობა ფერმებში;
- ახალგაზრდა თაობაში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვის მოტივაციის ნაკლებობა;
- სუსტი თანამშრომლობა პროფესიული განათლების ინსტიტუტებსა და გადამამუშავებელ საწარმოებს შორის;
- არასაკმარისი ნედლეული (ხილი და ბოსტნეული) საექსპორტო ბაზრებზე გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად;
- არასტაბილური მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება;
- ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის არასაკმარისი ცოდნა;
- გადამამუშავებელი საწარმოებისათვის ისეთი ადგილობრივი ნედლეულის არარსებობა, როგორებიცაა ეტიკეტები, ქილები და ბოთლები.

## შესაძლებლობები

- სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა პირველად სოფლის მეურნეობაში და გადამამუშავებელ საქმიანობაში;
- ინვესტირება უფრო მეტი საკვების გადამამუშავებელი კომპანიების შექმნაში, რომლებიც შექმნიან დამატებით ბიზნეს კავშირებს ადგილობრივ ფერმერებთან;
- გაზრდილი მონაწილეობა სახელმწიფო პროგრამებში;
- ხელით შრომის ჩანაცვლების შესაძლებლობა თანამედროვე მოსავლის ამღები და გადამამუშავებელი ტექნოლოგიებით;
- იმპორტის ჩანაცვლება.

## საფრთხეები

- არახელსაყრელი კლიმატური პირობები;
- ხელშეკრულებით მომუშავე პირების მზარდი ხელფასები;
- პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემცირება;
- გაზრდილი მიგრაცია;
- გაზრდილი იმპორტი;
- სამუშაო ძალის ღირებულების ზრდა;
- ექსპორტის ხელის შემშლელი არასტაბილური გეოპოლიტიკური გარემო.

## რეკომენდაციები:

- სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებზე წვდომის გაუმჯობესება;
- ტექნოლოგიების განახლების მიზნით გადამამუშავებელი საწარმოების მხარდაჭერა;
- კვების მრეწველობის ასოციაციების და კლასტერების შექმნის მხარდაჭერა;
- ფერმერების მარკეტინგის და ბრენდინგის უნარების გაუმჯობესება;
- სასოფლო-სამეურნეო განათლების და პროფესიულ კოლეჯებთან თანამშრომლობის წახალისება;
- ტექნოლოგიების გაზიარების მიზნით კოოპერატივების შექმნის წახალისება;
- ფერმერებისათვის ფინანსური განათლების პროგრამების შემუშავება.

*მასალა მომზადდა პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ, პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.*

სრული ანგარიში იხილეთ

## ცხვრის ღირებულებათა ჯაჭვი სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში

ცხვრის ღირებულებათა ჯაჭვი განუყოფელი ნაწილია ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სასოფლო-სამეურნეო სექტორის. ღირებულებათა ჯაჭვში იწარმოება ხორცი, მატყლი, რძის პროდუქტები და ცოცხალი ცხვარიც. სექტორს დიდი ზეგავლენა აქვს ადგილობრივ ეკონომიკაზე, მთავარ პრობლემას კი,გაძვირებული საკვები და საძოვრების იჯარის წესების ცვლილებები წარმოადგენს. მატყლის სექტორში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე. როგორებიცაა საერთაშორისო მოთხოვნის შემცირება, დაბალი ხარისხის მატყლი და ალტერნატიული საშუალებების შემოღება, ფერმერებს უჭირთ მარტყლის მომგებიან ფასად გაყიდვა.






- ფერმერები ქვემო ქართლში ცხვრებს ცოცხალად ყიდიან მუსულმანურ რეგიონებში, სადაც ჰალალის ხორცზე მოთხოვნა მაღალია
- ცხვრების 95% იყიდება საერთაშორისო ბაზრებზე, შემგროვებლებისა და ექსპორტიორების მეშვეობით

- მატყლის გაყიდვის არამომგებიანი პრაქტიკა.
- ხელით პარსვა, გამომდინარე ელექტროენერგიის წვდომის ნაკლებობიდან
- პარსვის ფასი მერყეობს 2 დან 5 ლარამდე
- ფერმერების უმეტესობა მატყლს ადგილზევე ანადგურებს

- მცირე მოთხოვნა ცხვრის რძისპროდუქტებზე
- იწარმოება ყველები, როგორიცაა ჩოგი, კალტი და გუდა, ასევე სომხური ლორი
- საშუალოდ ათვისებულია მხოლოდ ცხვრის რძის წარმოების მესამედი, გამომდინარე წველის პრაქტიკებიდან და მუშახელის დეფიციტიდან

- ქვემო ქართლი შემოიფარგლება მიახლოებით 190 ათასი ცხვრით, ხოლო სამცხე-ჯავახეთი კი 67 ათასი

- საძოვრების დეფიციტი მწვავე სექტორისთვის მწვავე პრობლემად რჩება, მთავარი მიზეზი კი ცხვრის გამოკვების ხარჯის საგრძნობი ზრდაა ბოლო 3 წელიწადში

### ხშირი ჯიშები სამიზნე რეგიონებში

| | Ram Weight | Lambing Rate | Milking Potential | Endurance over distance | Present in regions |
|---|---|---|---|---|---|
| თუშური | 40 | 100% | მაღალი | მაღალი | ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში |
| იმერული | 30 | 250% | საშუალო | საშუალო | მსგავსად თუშურისა, თუმცა ნაკლები რაოდენობით |
| ჯავახური | 55 | 100% | დაბალი | დაბალი | ახალქალაქისა და ახალციხის მუნიციპალიტეტები |
| ბალბასი | 60 | 150% | მაღალი | დაბალი | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთ დასახლებები |

ცხვრის რძის პროდუქტებსა და ცოცხალი ცხვრის სექტორში დადებითი ტრენდია, გამოწვეული როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო ბარზებით. ცხვრის ჯიშების მრავალფეროვნებამ დიდი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანსა და ახლო აღმოსავლეთში ექსპორტის წახალისებაში. თუმცა, საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნების ცვლილებამ, კერძოდ კი ცხვრის დიდი ზომისა და წონის უპირატესობის მინიჭება და წონით გაყიდვა, წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევებს ადგილობრივი სექტორისთვის.

# SWOT Analysis

## ძლიერი მხარეები

- **ჯიშების მრავალფეროვნება**: სამიზნე მუნიციპალიტეტებში ფერმერები აქტიურად ოთხი სხვადასხვა ჯიშის ცხვარს მათი უპირატესობების მიხედვით
- **ადგილობრივი მოთხოვნა:** სტაბილური მოთხოვნა ცოცხალ ცხვარზე ქვემო ქართლში, გამოწვეული რელიგიური წესჩვეულებებით და ტრადიციებით.
- **ხანგრძლივი ტრადიცია:** მიუხედავად რთული პირობებისა და გამოწვევებისა, ადგილობრივი მოსახლეობა არ თმობს ცხოვრების წესს
- **ალპური ზონა**: საძოვარი მიწები ალპურ ზონაში განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხის რძეს
- **საძოვრები:** ქვემო ქართლში არსებული საძოვრები გამოიყენება მთელი წლის განმავლობაში, ხოლო სამცხე-ჯავახეთში კი არსებული საძოვრები წარმოადგენს იაფიან ალტერნატივას ზაფხულში
- **საერთაშორისო აღიარება**: ქართული ცხვარი სარგებლობს გარკვეული პოპულარულობით ახლო აღმოსავლეთში, რაც ამცირებს მარკეტინგში ინვესტიციის საჭიროებას

## სუსტი მხარეები

- **მუშახელის დეფიციტი**: მოსახლეობის შემცირება იწვევს მუშახელის დეფიციტს, რაც საგრძნობლად აძვირებს მწყემსების ფასს.
- **გამოუყენებელი პროდუქცია:** დაბალი მომგებიანობა როგორც ცოცხალი ცხვრის, ხორცისა და განსაკუთრებით მატყლის შემთხვევაში
- **უკონტროლო საძოვრები**: საძოვრებზე მიწის საკუთრებაში ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს ჭარბძოვება და მიწის დეგრადაცია.
- **ძვირადღირებული მოვლა**: საძოვრების ფასების ინფლაცია და ცხოველების საკვების ხარჯების ზრდა საგრძნობლად ზრდის მოვლის ხარჯებს.
- **ბაზრებზე წვდომის არქონა**: ფერმერებმა არ იციან არც საბოლოო ბაზარი და არც ფასი გაყიდული პროდუქტის, რაც ფერმერებსა და შემგროვებლებს შორის ნდობას კითხვის ქვეშ აყენებს

## შესაძლებლობები

- **ექსპორტის გაზრდა მომგებიან ქვეყნებში:** შესაძლებლობა ექსპორტის გაზრდის მომგებიან ქვეყნებში, კერძოდ კი საუდის არაბეთში
- **რძის წარმოების გაზრდა:** რძისა და რძის პროდუქტების გაზრდის შესაძლებლობა წველადობაზე მორგებული ჯიშების შემოღებით
- **ახალი ჯიშები:** საერთაშორისო მოთხოვნილებებზე ორიენტირებული ჯიშების შემოღება

## საფრთხეები

- **საძოვრების დეფიციტი:** საძოვრების იჯარით გაცემის რესტრუქტურიზაციის შედეგას შესაძლო ჭარბძოვება და მიწის სხვა მიზნებით გამოყენება
- **რეპუტაციის გაფუჭება საექსპორტო ბაზრებზე**: შემგროვებლებისა და ექსპორტიორების არაკეთესილსინდისიერი პრაქტიკის შედეგად შესაძლოა ქართული ცხვრის სექტორს რეპუტაცია შეულახოს
- **გაზრდილი კონკურენცია**: აფრიკის ქვეყნებიდან ცოცხალი ცხვრის ექსპორტის ზრდამ საგრძნობლად შეამცირა ქართული ცხვრის კონკურენტუნარიანობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში
- **ცვალებადი ბაზრები**: მზარდი მოთხოვნა დიდი ზომის ცხვრებზე ახლო აღამოსავლეთის ქვეყნებიდან

## რეკომენდაცია ფერმერებისთვის

- ფერმის ოპტიმალური ზომის შერჩევა მომგებიანობის მიხედვით
- ცხვრის მეურნეობისადმი მიდგომის შეცვლა - მეტი აქცენტი მოგების მაქსიმიზაციაზე და ნაკლები აქცენტი ტრადიციული ცხოვრების წესზე
- რძის რეალიზაციისთვის ჰიგიენისა და ხარისხის სტანდარტების გაზრდა
- დროული ვაქცინაცია ცხვრის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად
- ცხვრების გაყიდვა წონით და არა ცალობით



## რეკომენდაციები საჯარო ინსტიტუტებისთვის

- ფერმერების წახალისება კოოპერატივების შექმნისთვის, როგორც დაფინანსების ერთ-ერთი მოთხოვნა
- აერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ადგილობრივ ფერმერებთან, რომლებიც იყენებენ ტრადიციულ მიდგომებს
- ახალი ჯიშების შემოყვანა რეგიონში
- საძოვრებს შორის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
- ზამთრის ალტერნატიული სადგომების შეთავაზება ფერმერებისთვის, რომლებსაც ზამთრის სადგომების დაკარგვის კულტურულ ადგილებთან სიახლოვისა და სხვა გარემოსდაცვითი მიზეზების გამო

*მასალა მომზადდა პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ, პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.*

სრული ანგარიში იხილეთ

# ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვი ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში

აჭარაში ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში ტურიზმი ხელს უწყობს სოციო-ეკონომიკურ განვითარებას, განსაკუთრებით სათავგადასავლო ტურიზმის საშუალებით. ბუნებრივი და კულტურული მიმზიდველობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტებში გამოწვევები მაინც არსებობს. ტურისტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, განსაკუთრებით ხულოსა და შუახევში, აფერხებს ვიზიტორებისთვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზებას. მნიშვნელოვანია განთავსების საშუალებების, ტურისტული აქტივობებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. გამოწვევების აღმოსაფხვრელად, უმთავრესია სექტორში ჩართულ მხარეთა თანამშრომლობა, მდგრადი განვითარება და მარკეტინგული სტრატეგიები. საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, აღნიშნული გამოწვევების მოგვარება ხელს შეუწყობს რეგიონის სრული ტურისტული პოტენციალის გამოვლენას და მდგრად ეკონომიკურ ზრდას.



## ტურიზმი რიცხვებში 2022 წელს

- 2022 წელს აჭარამ 3.9 მლნ ვიზიტორს უმასპინძლა: 53% საერთაშორისო (2.1 მლნ) და 11.2% შიდა (1.8 მლნ) ვიზიტორს.
- აჭარაში შერჩეულ მუნიციპალიტეტებს შორის, შიდა ვიზიტებით ლიდერობდა ქედა (72,338), რასაც მოსდევდა ხულო (52,722) და შუახევი (44,136).
- საერთაშორისო ვიზიტები საქართველოში 2022 წელს 2019 წელთან შედარებით 61%-ით აღდგა, როცა ეს მაჩვენებელი აჭარისთვის 91%-ს შეადგენდა, ბათუმისთვის კი 93%-ს.
- საერთაშორისო ვიზიტორებმა 2022 წელს აჭარაში 9.7 მილიონი ღამე გაატარეს, საშუალოდ თითო ვიზიტზე - 4.4 ღამე, შიდა ვიზიტორებმა კი 3.7 მილიონი ღამე (საშუალოდ ვიზიტზე: 1.74 ღამე).
- აჭარაში ვიზიტორების ყველაზე დიდი წილი თურქეთიდან იყო (39%), რასაც მოსდევდა რუსეთი (19%), ისრაელი (6%), უკრაინა (4%) და საუდის არაბეთი (4%).
- საერთაშორისო ვიზიტორთა უმეტესობა აჭარას ეწვია დასვენების მიზნით (77%), რასაც მოჰყვა მეგობრების ან ნათესავების მონახულება (12%), ბიზნესი (4%) და ტრანზიტი სხვა ქვეყანაში (4%).
- სამი მუნიციპალიტეტიდან ქედამ ვიზიტორთა 72% მოიზიდა, ხულომ 19%, ხოლო შუახევმა 9%.
- 2020 წელს ქედაში 87%-იანი აღდგენა და 2022 წელს 34%-იანი ზრდა დაფიქსირდა პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო აღდგენის მაჩვენებლები ხულოსა და შუახევში გაცილებით დაბალი აღმოჩნდა.

**საერთაშორისო ვიზიტები აჭარაში (ათასი)**




**შიდა ვიზიტები აჭარაში (ათასი)**




**შიდა ვიზიტები აჭარის შერჩეული მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2022**



# SWOT ანალიზი

## ძლიერი მხარეები

- ტურისტული პროდუქტების მრავალფეროვნება: სათავგადასავლო, გასტრონომიული, ეკო-აგრო, კულტურული და ღვინის ტურიზმი.
- ზოგიერთი ტურისტული დანიშნულების ადგილის ბათუმთან სიახლოვე
- უნიკალური ბუნება, ხედები და პეიზაჟები
- ბათუმთან სიახლოვეს მშვიდი დასვენების ალტერნატივა
- ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი პროდუქტები, როგორიცაა თაფლი და რძის პროდუქტები
- ზამთრის კურორტის, გოდერძის, არსებობა
- ალპური ბოტანიკური ბაღის არსებობა
- სათავგადასავლო აქტივობების ფართო სპექტრი ქედაში
- დაცულ ტერიტორიებთან სიახლოვე
- ტურიზმის სექტორში უმცირესობების ინტეგრაციის მაღალი დონე, განსაკუთრებით ხულოში, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია, რასაც მოსდევს შუახევი და ქედა.

## სუსტი მხარეები

- ინფრასტრუქტურული პრობლემები სოფლების, ბათუმი-გოდერძისა და ახალციხე-ხულოს გზაზე, რომელიც აკავშირებს თბილისს აჭარის შერჩეულ მუნიციპალიტეტებთან, მათ შორის სათხილამურო კურორტ გოდერძისთან.
- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურული პრობლემები, განსაკუთრებით აჭარის შერჩეული მუნიციპალიტეტების სოფლებში.
- ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო ზოგიერთი ტურისტული სერვისის სეზონურობა
- ფინანსების ხელმისაწვდომობის პრობლემა
- ტურიზმის მიმართ შეზღუდული ინტერესი ადგილობრივების მხრიდან
- არსებულ ტურისტულ მარშრუტებზე და არა მარკირებულ მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის ნაკლებობა (მარკირებული მარშრუტების მცირე რაოდენობის საკითხი სამივე მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა)

## შესაძლებლობები

- აჭარაში ახალი ტურისტული მარშრუტების შექმნა და პოპულარიზაცია
- აგროტურიზმისა და გასტროტურიზმის პერსპექტივები ქედაში, შუახევსა და ხულოში.
- ეთნოტურიზმის პოტენციალის გამოყენება, განსაკუთრებით ღორჯომის ხეობაში.
- დაკავშირებული სექტორების განვითარება, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, გასტროტურიზმისთვის და ველოსიპედის შეკეთების სერვისები ველოტურიზმისთვის.
- მაღალმთიანი აჭარის ტურისტული პოტენციალი საჯარო სუბიექტების ყურადღებას იპყრობს.
- ტურისტული გამოცდილების გამრავალფეროვნება გასართობი სერვისების მიწოდებით, განსაკუთრებით შუახევსა და ხულოში, ვიზიტების ხანგრძლივობის გასაზრდელად.
- ბალნეოლოგიური ტურიზმის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და მათი გამოყენება.

## საფრთხეები

- მაღალი ნალექი/თოვლი და სხვა ბუნებრივი კატასტროფების რისკი, როგორიცაა მეწყერი
- ტურისტული ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით განთავსების საშუალებების ქაოტური მშენებლობა
- ტურისტული ობიექტებისთვის რესურსებზე ფასების შემდგომი ზრდა
- სამუშაო ძალის გადინება ქალაქებსა და სხვა ქვეყნებში
- არასათანადო ტურისტული ინფრასტრუქტურის უარყოფითი გავლენა ბუნებაზე
- ახალციხე-ბათუმის გზის მშენებლობის დასრულების გადადება და მდგრადობისა და ხარისხის შესახებ არსებული ნეგატიური მოსაზრებები.
- რუსი მიგრანტების მიერ ტურისტული გიდის სერვისებზე უარყოფითი ეფექტის მოხდენა ჩაკეტილი ბაზრის შექმნით მხოლოდ რუსი ვიზიტორებისთვის

**ინფრასტრუქტურის განვითარება**: გზების, განსაკუთრებით ბათუმი-გოდერძი და ახალციხე-ხულოს მარშრუტების კეთილმოწყობისთვის, ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურისთვის შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის პრიორიტეტიზაცია.

**ტურისტული აქტივობების დივერსიფიკაცია**: ვიზიტორებისთვის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების შეთავაზება, განსაკუთრებით შუახევსა და ხულოში, როგორიცაა აგროტურიზმი, გასტროტურიზმი და ეთნოტურიზმი.

**ტურიზმის სექტორის რეგულაცია**: რეგულაციების შემუშავება და აღსრულება, რაც მიზნად ისახავს ტურიზმის მდგრად განვითარებას, განსაკუთრებით განთავსების საშუალებების ქაოტური მშენებლობის აღსაკვეთად და ბუნებრივი გარემოს შესანარჩუნებლად.

**დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა**: საინფორმაციო ცენტრებსა და კერძო სექტორს შორის საკომუნიკაციო არხების შექმნა, ინფორმაციის უწყვეტი მიწოდებისა და ერთობლივი ინიციატივების გასაადვილებლად.

**უნარების განვითარება**: ტურისტული სერვისების მომწოდებლებისთვის ტრენინგ პროგრამების შეთავაზება, რაც მიზნად ისახავს ადგილობრივი მეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდასა და სამუშაო ძალის პრობლემების გადაჭრას.

**მდგრადი ტურიზმის განვითარება**: პროექტების ხელშეწყობა, რომლებიც ორიენტირებულია მდგრადი ტურიზმის პრაქტიკების დანერგვაზე, მათ შორის ეკოლოგიურად კეთილმოწყობილ განთავსების საშუალებებსა და ნარჩენების მართვის სისტემებზე.

**მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერა**: საგრანტო პროექტებისა ან სხვა ფინანსური დახმარების გაწევა ტურიზმის სექტორში არსებული ადგილობრივი მეწარმეებისთვის, ინფორმაციის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფითა და ადგილობრივებს შორის პარტნიორობის წახალისებით.

**ტურიზმის პოპულარიზაცია და მარკეტინგი**: რესურსების გამოყოფა ეფექტური მარკეტინგისთვის, რომელიც ფოკუსირებული იქნება გაყიდვების ბაზრებსა და სარეკლამო მასალებზე, რათა გაიზარდოს ცნობადობა მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების შესახებ.

*მასალა მომზადდა პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ, პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.*

სრული ანგარიში იხილეთ